



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

საქმე №2ბ/1383-11

05 მაისი 2011 წელი
ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა პალატა

მოსამართლე – გოდერძი გიორგიშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

აპელანტი – არასრულწლოვან სალომე ბაიდარაშვილის კანონიერი წარმომადგენელი მანანა ყარყარაშვილი (მოსარჩელე)

მოწინააღმდეგე მხარეები – ემა ბერუაშვილი და ნინო ბაიდარაშვილი (მოპასუხეები)

მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით – ქ. თბილისის გლდანი ნაძალადევის რაიონის გამგეობა

დავის საგანი – ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2ბ/1383-11. აპელანტი – არასრულწლოვან სალომე ბაიდარაშვილის კანონიერი წარმომადგენელი მანანა ყარყარაშვილი, მოწინააღმდეგე მხარეები – ემა ბერუაშვილი და ნინო ბაიდარაშვილი, დავის საგანი – ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

საქმის მასალების მიხედვით, ნინო ბაიდარაშვილის საცხოვრებელი ადგილის მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, გლდანი, III მკ.რ, კორპუსი 3ა, ბინა №46.

აღნიშნულ მისამართზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი სასამართლო უწყება და გზავნილი არ ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარე – ნინო ბაიდარაშვილს. სასამართლოში დაბრუნებულ გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე მითითებულია, რომ აღნიშნულ მისამართზე ადრესატი არ ცხოვრობს, ბინა დაგირავებულია და ცხოვრობს ხარებაძე.

სააპელაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, იმსჯელა საქმის სრულყოფილად, კანონმდებლობით დადგენილ უმოკლეს ვადაში განხილვისა და გაჭიანურების თავიდან აცილების გარემოებებზე, გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დანაწესი და მიიჩნია, რომ მართლზომიერია განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარედ მითითებულ ნინო ბაიდარაშვილს შეტყობინება სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვის თარიღი (2011 წლის 08 ივნისს 12:00 საათზე) და სააპელაციო საჩივრის შინაარსი ეცნობოს საჯარო შეტყობინების საშუალებით.

სააპელაციო საჩივრის შინაარსი

2010 წლის 29 სექტემბერს არარულწოვან სალომე ბაიდარაშვილის კანონიერმა წარმომადგენელმა მანანა ყარყარაშვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – ნინო ბაიდარაშვილისა და ემა ბერუაშვილის მიმართ და მოითხოვა უძრავი ქონების – მდებარე ქ.თბილისი, გლდანის მასივი, მე-3ა კორპ, №46-ის საცხოვრებელი ფართის 26.90 კვ.მ. და სასარგებლო ფართის 33,85კვ.მ. ყადაღისაგან გათავისუფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2010 წლის 04 ოქტომბერს დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის სტატუსით სარჩელით მიმართა გლდანი-ნაძალადევუს რაიონის გამგეობამ მოპასუხეების – ნინო ბაიდარაშვილისა და ემა ბერუაშვილის მიმართ და მოითხოვა უძრავი ქონების – მდებარე ქ.თბილისი, გლდანის მასივი, მე-3ა კორპ, №46-ის საცხოვრებელი ფართის 26.90 კვ.მ. და სასარგებლო ფართის 33,85კვ.მ ყადაღისაგან გათავისუფლება, ასევე

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, თბილისის სააღსრულებლო ბიუროს მიერ საჯარო აუქციონის გზით რეალიზაციის შეჩერება სადავო ქონებაზე – მდებარე ქ.თბილისი, გლდანის მასივი, მე-3 მკ/რ, მე-3ა კორპ., №46.

ემა ბერუაშვილმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ნინო ბაიდარაშვილი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას წარმოადგენდა ქონების მესაკუთრეს საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, რომლის მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმცია. მოსარჩელეს და დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს კი საკუთრების უფლება არა აქვს შეძენილი სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, რის გამოც როგორც სალომე ბაიდარაშვილის, ისე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის სტატუსის მქონე გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

1. საჯარო რეესტრის მონაცემებით სადავო ბინა მდებარე ქ.თბილისი, გლდანის მასივი, მე-3ა კორპ., №46-ში საკუთრების უფლება აღრიცხულია ნინო ბაიდარაშვილზე.

2. სადავო ქონების დაყადაღება მოხდა 2010 წლის 17 სექტემბერს, მოვალე ნინო ბაიდარაშვილის მიმართ იურიდიული კომპანია “ბარისტერის” საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სახელით მიღებული 2007 წლის 21 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 2009 წლის 28 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, სადაც კრედიტორია ემა ბერუაშვილი. დაყადაღება მოხდა ნინო ბაიდარაშვილის კუთვნილი საცხოვრებელ სახლის – მდებარე - ქ.თბილისი, გლდანის მასივი, მე-3ა კორპ., №46-ის.

3. ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სადავო ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება ნაწილობრივ გაუქმდა სალომე ბაიდარაშვილის კანონიერი წარმომადგენლის მანანა ყარყარაშვილის სარჩელის საფუძველზე, ორი ოთახისა და დამხმარე სათავსოების ნაწილში, მესამე ოთახის პრივატიზაციის ნაწილში დარჩა ძალაში.

4. ნინო ბაიდარაშვილმა 2006 წლის 17 აგვისტოს მოახდინა სადავო ბინის მდებარე ქ.თბილისი, გლდანის მასივი, მე-3ა კორპ. №46 – პრივატიზაცია თავის სახელზე და იმავე წლის 26 აგვისტოს სადავო ბინა დატვირთა იპოთეკით ემა ბერუაშვილის სასარგებლოდ.

5. იურიდიული კომპანია “ბარისტერის” საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სახელით გაიცა სააღსრულებლო ფურცელი 2007 წლის 21 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, რომლის მიხედვით ნინო ბაიდარაშვილს ემა ბერუაშვილის სასარგებლოდ დაეკისრა 12 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, ასევე პირგასამტეხლო, ხოლო თანხის გადახდევინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების III პუნქტის მიხედვით უნდა მოხდეს იპოთეკით დატვირთული

ქონების მდებარე ქ.თბილისი, გლდანის მასივი, მე-3ა კორპ., №46, წილობრივი მონაცემები 78.70 კვ.მ, იძულებით აუქციონზე რეალიზაციით.

6. თბილისის სააღსრულებლო ბიუროს მიერ გამოცხადებული იყო პირველი საჯარო აუქციონი სადაო ბინაზე 2010 წლის 06 ოქტომბერს, სასამართლოს 2010 წლის 05 ოქტომბრის განჩინებით შეჩერდა დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე თბილისის სააღსრულებლო ბიუროს აღმასრულებლის მიერ საჯარო აუქციონის გზით რეალიზაცია უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე - ქ.თბილისი, გლდანის მასივი, მე-3ა კორპ., №46, საკადასტრო კოდით №01.11.12.005.030.01.046, საცხოვრებელი ფართი 26,90 კვ.მ, და საერთო ფართი 33,85 კვ.მ.

სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

სადავო ნივთთან მიმართებაში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ვერ იქნა სათანადო მტკიცებულებითი დასაბუთება, რაც ადასტურებს მოსარჩელისადმი მათი კუთვნილების ფაქტს.

მოსარჩელემ სალომე ბაიდარაშვილმა და დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის სტატუსის მქონე გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის წარმომადგენელმა სასამართლოს ვერ დაუდასტურეს, რომ მათ აღსრულების საგანზე გააჩნიათ უფლება. უძრავ ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან, არც სალომე ბაიდარაშვილი და არც გლდანი-ნაძალადევის გამგეობა ყადაღადადებული უძრავი ნივთის მესაკუთრეს არ წარმოადგენს, საჯარო რეესტრის მონაცემებით სადავო ბინა - მდებარე ქ.თბილისი, გლდანის მასივი, მე-3ა კორპ., №46-ში საკუთრების უფლებით აღრიცხულია ნინო ბაიდარაშვილი.

სასამართლოს გადაწყვეტილებით სალომე ბაიდარაშვილის (კანონიერი წარმომადგენელი დედა - მანანა ყარყარაშვილი) სარჩელი მოპასუხეების ემა ბერუაშვილისა და ნინო ბაიდარაშვილის მიმართ ყადაღისაგან უძრავი ქონების გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის გლდანი-ნაძალადევის რაიონული გამგეობის სარჩელი მოპასუხეების ემა ბერუაშვილისა და ნინო ბაიდარაშვილის მიმართ ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება.

აპელანტის მოთხოვნა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სააპელაციო საჩივრის დასაბუთება

აპელანტის მითითებით, 1. სასამართლომ მტკიცებულების გამოკვლევისას სამართლებრივი შეფასება არ მისცა მოსარჩელის მიერ სადავო ბინაზე დადებულ

ყადაღას (23.05.2007წ. საქმე №21-547-07), რომელიც წინ უსწრებს მოპასუხის მიერ სააღსრულებლო ფურცლის მიღებას და შემდგომ მისი აღსრულების მოთხოვნას:

კერძოდ, არ გამოიკვლია და არ შეაფასა, რომ მოსარჩელემ სადავო საგანზე საჯარო რეესტრში ყადაღა დაარეგისტრირა 25.05.2007 წელს, მოპასუხეზე საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სააღსრულებლო ფურცელი გაიცა 28.05.2007 წელს, რომლის აღსასრულებლად საჯარო რეესტრში რეგისტრაცია განხორციელდა აღმასრულებლის მიერ 09.08.2010 წელს.

2. სასამართლოს მსჯელობა, რომ აპელანტის საჩივარი ფაქტიურად მიმართულია საარბიტრაჟო სასამართლოს 23.05.2007 წლის გადაწყვეტილების გაუქმებისაკენ სამართლებრივად არასაკმარისად არის შეფასებული. სასამართლოს ამდაგვარ მსჯელობაზე მითითება არ შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულად არგუმენტის გარეშე, ვინაიდან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც არ საჩივრდება არ შეიძლება სამართლებრივი დასაბუთების გარეშე აღსრულდეს თუ მესამე პირის ინტერესი დაცულია სასამართლოს (23.05.2007წ. საქმე №21-547-07 და 28.03.2008წ. საქმე №3/1418-07) გადაწყვეტილებით და მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით დღესაც ადევს ყადაღა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მიერ მითითება სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის შინაარსზე არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მოპასუხის ინტერესებისათვის, ვინაიდან საჯარო რეესტრის ჩანაწერები შეიცავს ყადაღაზე მითითებას სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მესაკუთრისა და კრედიტორის კეთილსინდისიერებას და მიმართულია ძველი მფლობელის-მესაკუთრის ინტერესების დასაცავად, რომელიც ასეთად ჩათვალა საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გამატანის შემდეგ მის აღსრულებამდე საქალაქო სასამართლომ.

3. სასამართლომ ვერ შეძლო ემსჯელა – სამართლებრივი შეფასება მიეცა და დაესაბუთებინა თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებას შემდგომში მიღებული კანონიერ ძალაში შესული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც სამართლებრივად იმ გარემოების დადასტურებაა, რომ ვერც საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირი და ვერც იპოთეკარი ვერ იქნებიან სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერი სუბიექტები, ვიდრე არ გაუქმდება საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, როგორც უფლების აღმდგენი საშუალება, რომლის რეალიზაციისაკენ-აღსრულებისაკენ მიმართული აქვს მოსარჩელეს საჯარო რეესტრში განცხადების მიმართვის გზით.

ამდენად, სასამართლომ ფაქტიური გარემოებები და მტკიცებულებები ვერ გამოიკვლია სრულად და ვერ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება შესაბამისად, სსს კოდექსის 105-ე მუხლისა, ასევე არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის შინაარსი, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილების აბსოლუტური გაუქმების საფუძველია შესაბამისად სსს კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-ე, 285-ე და 390-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვევა განხორციელდეს საჯარო შეტყობინების ფორმით;
2. სააპელაციო საჩივრის ჩაბარება განხორციელდეს საჯარო შეტყობინების ფორმით;
3. სასამართლოს მთავარი სხდომა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დაინიშნოს 2011 წლის 08 ივნისს 12:00 საათზე, რომელიც გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მღებარე: ქ. თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. №7^ა);
3. 2011 წლის 08 ივნისს 12:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვეულ იქნეს განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარედ მითითებული ნინო ბაიდარაშვილი;
4. სხდომაზე დასაბარებელი პირი გაფრთხილებულ იქნეს, რომ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მის წინააღმდეგ;
5. მოწინააღმდეგე მხარეს დაევალოს 10 (ათი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის შესაბამისად;
6. განემარტოს მოწინააღმდეგე მხარეს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მის წინააღმდეგ;
7. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე

გ. გიორგიშვილი